

მარჩენალდაკარგულ პირთა დახმარების პროგრამა

1. დაფინანსების წყარო:

ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

2. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

3. პროგრამის მიზანი:

ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწევათ და პროგრამით ისარგებლებენ:

ა) სოციალურად დაუცველი მარჩენალდაკარგული პირები, რომლებიც ღებულობენ მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალურ პაკეტს, რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ 120 000-მდე სარეიტინგო ქულა;

ბ) მარჩენალდაკარგული პირები, რომლებიც იღებენ მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალურ პაკეტს;

გ) დედ-მამით ობლები, რომლებიც იღებენ მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალურ პაკეტს.

4. განსახორციელებელი ღონისძიებები:

მოქალაქეთა განცხადებების განხილვა, დახმარების გაწევის მიზანშეწონილობის განსაზღვრა და ბენეფიციართათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა შემდეგი ოდენობით:

ა) სოციალურად დაუცველი მარჩენალდაკარგული პირებისთვის, რომლებიც იღებენ მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალურ პაკეტს, რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ 120 000-მდე სარეიტინგო ქულა, ერთ ბენეფიციარზე - 250 (ორასორმოდდაათი) ლარის ოდენობით.

ბ) მარჩენალდაკარგული პირებისთვის, რომლებიც იღებენ მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალურ პაკეტს, ერთ ბენეფიციარზე - 150 (ასორმოდდაათი) ლარის ოდენობით.

გ) დედ-მამით ობლებისთვის, რომლებიც იღებენ მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალურ პაკეტს, ერთ ბენეფიციარზე - 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

5. დახმარების მიღების აუცილებელი პირობა:

სავალდებულოა მარჩენალდაკარგული პირი დაფინანსების მოთხოვნამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში უწყვეტად იყოს რეგისტრირებული და ფაქტიურად ცხოვრობდეს ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

6. დამატებითი ინფორმაცია:

ა) დახმარების მოთხოვნის უფლება აქვს ბენეფიციარის ოჯახის წევრს ან ასეთის არარსებობის შემთხვევაში, მის მეურვეს.

ბ) დახმარების მოთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს მისი პირადობის მოწმობა, ბენეფიციარის პირადობის ან დაბადების მოწმობა, საბანკო რეკვიზიტი, ცნობა სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოდან“ მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალური პაკეტის მიღების თაობაზე, სოციალურად დაუცველი ბენეფიციარის შემთხვევაში, ამონაწერი სოციალურად დაუცველთა ერთიანი ბაზიდან (სარეიტინგო ქულა) და ცნობა შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში

მერის წარმომადგენლიდან, ბენეფიციარის ბოლო ერთი წლის განმავლობაში ვანის მუნიციპალიტეტში ფაქტიურად ცხოვრების შესახებ;

გ) სამსახურს საჭიროების შემთხვევაში უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

7. მოსალოდნელი შედეგები:

მარჩენალდაკარგული პირების მატერიალური და მორალური თანადგომა.

8. შეფასების კრიტერიუმი:

მარჩენალდაკარგული პირების სოციალური და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.